# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (9.824)

28 აპრილი-5 მაისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროში




გვ.3

## ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა

გვ.2



## საოპერო მომღერალი ილია ათანელიშვილი ხელოვნების სკოლაში



გვ.4






## დედოფლის წყაროში რძის პროდუქტების საწარმო ჰიგიენური ნორმების დარღვევისთვის დახურეს

გვ.8

## ჰერეთი ქართველების გარეშე რომ არ დარჩეს



გვ.5

## ბიბლიოთეკა 80 წლისაა



გვ.4

## დედამიწა ჩვენი სახლია




გვ.6

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა

პარტიას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ კვლავ უხელმძღვანელებს მისი დამფუძნებელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი. „პირადად ჩემი და მთელი გუნდის სახელით შევთავაზე და ვთხოვე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს, რომ სათავეში ჩაუდგეს პარტიას და მოხარული ვარ, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თანხმობა განაცხადა“ - განაცხადა 26 აპრილს, თბილისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის მოქმედმა თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. მისი შეფასებით, ბიძინა ივანიშვილს „ყველაზე მეტად შეუძლია პარტიის თავმჯდომარის რანგში გააძლიეროს მთავარი პოლიტიკური ბირთვი, შესძინოს შემდგომი განვითარების ახალი და მეტი დინამიკა, მეტი ეფექტურობისა და პროგრესისთვის როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას და თვითმმართველ ორგანოებს.“ პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში გაიმართება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს სხდომა, შემდეგ კი ყრილობა, რომელზეც ბიძინა ივანიშვილს აირჩევენ პარტიის თავმჯდომარედ. ყრილობაზე აირჩევენ პოლიტსაბჭოს განახლებულ შემადგენლობასაც. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებითვე, ეს გადაწყვეტილება დადებითად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ახალი იმპულსი იქნება პარტია „ქართული ოცნებისთვის“ და პირადად მისთვის, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის.

“უთუოდ მნიშვნელოვანი და საჭირო გადაწყვეტილებაა პოლიტიკური პარტიის ლიდერად ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება, არა იმიტომ, რომ კრიზისია გუნდში, როგორც ეს ისმის კომენტარებში ოპონენტების მხრიდან და ასე ნამდვილად არაა, არამედ პარტიის გაძლიერებისა და კონსოლიდაციისთვის,”- ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, ეს ასევე საჭიროა საზოგადოებრივი რესურსის, ახალი იდეების და რეფორმების ირგვლივ გაერთიანებისთვის.

„მე ვიცნობ რა ბიძინა ივანიშვილის მუშაობის სტილს და მის შესაძლებლობებს, მას შეუძლია სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანოს მოცემულობა. სიახლეები საჭიროა. მინახავს, როგორ ცვლიდა ყველაფერს უკეთესობისკენ ყველაზე კრიტიკულ და ურთულეს დროს.

„ქართულ ოცნებას“ გააძლიერებს ბიძინა ივანიშვილის ჩართვა და ეს მხოლოდ სასიკეთოა ქვეყნისთვის. მე მჯერა მას სხვა არაფერი ამოძრავებს, გარდა ქვეყნის სიყვარულისა და მისი მსახურებისა. ვფიქრობ, ეს ეტაპიც იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის“, - განაცხადა ეკა ბესელიამ.

“სახელისუფლებო ცვლილებები არ იქნება. პრემიერ-მინისტრი წარმატებით გააგრძელებს დაწყებულ საქმეს და პარლამენტიც, ირაკლი კობახიძის თავმჯდომარეობით, სრულად დაუჭერს მხარს იმ რეფორმებს და დაპირებების შესრულებას, რომელიც მიცემული გვაქვს საზოგადოებისთვის,” - ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ კითხვას იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ის აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც დაბრუნდება.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება იყო გიორგი კვირიკაშვილის დიდი ხნის ინიციატივა და პრემიერმა ამ მიზნით რამდენიმე კონსულტაციაც გამართა ყოფილ პრემიერთან.

„პარტიის ლიდერები მხარს უჭერენ ამ გადაწყვეტილებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით პარტია გახდება კიდევ უფრო ეფექტური და საერთო ჯამში, ეს გააჯანსაღებს იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს“,- დასძინა თალაკვაძემ.

ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება აქტიურ პოლიტიკაში მისასალმებელია, რადგანაც ის სარგებლობს ძალიან დიდი ნდობით, როგორც საზოგადოებაში, ასევე პარტიის შიგნით, - ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

„მე დარწმუნებული ვარ, პარტიის თავმჯდომარედ მისი არჩევის შემთხვევაში, ეს მოემსახურება პარტიის გაძლიერებას და, ზოგადად, პოლიტიკური პროცესების კიდევ უფრო გაძლიერებას ქვეყნის შიგნით. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ეს ფაქტი ძალიან კარგია“, - განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

„ოცნების“ წევრების განცხადებების მთავარი აქცენტი გახლავთ ის, რომ ივანიშვილის დაბრუნება პარტიის გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯია. პარლამენტის თავმჯდომარემ და „ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ დააანონსა, რომ ივანიშვილი სათავეში ჩაუდგება რეფორმების ახალ ტალღას. რა რეფორმებია მოსალოდნელი, არ დაუკონკრეტებია. თქვა მხოლოდ ის, რომ უმაღლესი თანამდებობის პირების ცვლილება მოსალოდნელი არ არის, პარტიაში ცვლილებები კი არ გამორიცხა. სამთავრობო ცვლილებები გამორიცხა პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემაც. კალაძემ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ივანიშვილი, შესაძლოა, „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს და აღნიშნა, რომ ექს-პრემიერი მხოლოდ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ბრუნდება. მისივე თქმით, ასევე, გამორიცხულია პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან გადააყენონ ირაკლი კობახიძე. ძველი სახეების განცხადებების მიხედვით კი, „ქართულმა ოცნებამ“ ბუნებრივი სახე დაიბრუნა. მოხდება თუ არა ცვლილებები პარტიულ თანამდებობებზე, ეს პარტიის ყრილობაზე გამოჩნდება.

# ევროპის იმუნიზაციის კვირეული 23-29 აპრილი, 2018

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2018 წლის 23–29 აპრილის პერიოდი მსოფლიოში იმუნიზაციის კვირეულად გამოაცხადა. საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვა და სხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ და მართვადი ინფექციების აღმოფხვრა ვაქცინაციის საშუალებით. საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (სშჯსდ მინისტრის ბრძანება №01-57/ნ 19.11.2015წ). იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინების შესყიდვას და 12 დაავადების (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ, წითელა, წითურა, ყბაყურა, როტა ვირუსული და პნევმოკოკური ინფექციები) საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაფინანსებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში 2000 წლიდან დღემდე დაინერგა 7 ახალი ვაქცინა. ასევე, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით, 2017 წლიდან ქალაქებში თბილისსა და ქუთაისში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში დაიწყო 2008-2009 წლებში დაბადებული გოგონების ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაციის პილოტური პროგრამა და უახლოეს პერიოდი დაინერგება სხვა რაიონებშიც.

მსოფლიოში იმუნიზაციის პროგრამების ფართომასშტაბიანი განხორციელების შედეგად მკვეთრად შემცირდა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებით ავადობა და სიკვდილიანობა.

- მსოფლიოში ბავშვთა მოსახლეობის ტუბერკულოზის, პოლიომიელიტის, დიფთერიის, ტეტანუსის, წითელას, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციით გადარჩენილია მილიონობით სიცოცხლე.

- ვაქცინაციის საშუალებით 2000-2016 წლების განმავლობაში წითელათი გარდაცვალების შემთხვევები შემცირდა 84%-ით.

- 2017 წლის განმავლობაში 1 წლამდე ასაკია ბავშვების 86%-ს ჩაუტარდა დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო სამჯერადი ვაქცინაცია

- B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აცრების სამდოზიანი კურსი ჩაუტარდა წლამდე ასაკის ბავშვების 84%-ს.

- 1988-2017 წლების პერიოდში პოლიომიელიტის შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 99%-ით. პოლიომიელიტის საწინააღმდეგო სამჯერადი ვაქცინაცია ჩაუტარდა 1 წლამდე ასაკის ბავშვების 85%-ს;

- როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა დაინერგა 90 ქვეყანაში, მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 25%;

- პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგოვაქცინა დაინერგა 134 ქვეყანაში, მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 42%.

ვაქცინირებული ბავშვების მაღალი % მოცვა დაავადების აღმოფხვრის ერთერთი საშუალებაა, ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვთ მშობლებს ნუ დატობებთ შვილებს აცრების გარეშე . გახსოვდეთ, რომ იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი — სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი! ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის საწინააღმდეგოდ ჩაუტარდა აცრები.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

მსოფლიოში დღეის მდგომარეობით კვლავ პრობლემად რჩება წითელათი დაავადების გავრცელევის საკითხი. მსოფლიოში 2017 წელს დაფიქსირდა წითელათი დაავადების 21 315 შემთხვევა და გარდაცვალების 35 შემთხვევა;

საქართველოში 2017 წელს დაფიქსირდა წითელას 94 შემთხვევა.შემთხვევების 13% მოდის 1წლამდე ასაკის ბავშვებზე, ხოლო 33% - 14 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაზე.

2018 წელს დღემდე დარეგისტრირებულია 512 შემთხვევა. შემთხვევების 14% მოდის 1წლამდე ასაკის ბავშვებზე, ხოლო 33% - 14 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დაფიქსირებულია 5 შემთხვევა. მათ შორის 15 წლამდე ასაკის- 2 შემთხვევა დ.წყაროში , 20 წლის ზემოთ - 3 შემთხვევა სოფ.სამრეკლოში. თითოეულის ოჯახის წევრებს და ყველა კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა ვაქცინაცია.




წითელა და წითურა ჯერ კიდევ რჩება ადრეული ასაკის ბავშვთა გარდაცვალების ერთერთ ძირითად მიზეზად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა.

საქართველოში პროფილაქტიკური აცრების კალენდრის შესაბამისად,წითელას საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაცია ტარდება 12 თვის და 5 წლის ასაკში წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით.

ქვეყანაში მიმდინარე ეპიდაფეთქებასთან დაკავშირებით, წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად, სახელმწიფო უზრუნველყოფს წითელას და წითურას საწინააღმდეგო იმუნოპროფილაქტიკას წწყ ვაქცინით. ამჟამად მიმდინარეობს წითელას და წითურას საწინააღმდეგო აცრების კამპანია,რაც ითვალისწინებს:

- 15 წლამდე ასაკის არასრულად აცრილი ან აუცრელი ბავშვების ვაქცინაციას;
- 15 - 41 წლამდე ასაკის პირების ერთჯერადი ვაქცინაციას აცრის სტატუსის გათვალისწინებით;
- სამედიცინო პერსონალის ერთჯერადი ვაქცინაციას;
- წითელას სავარაუდო შემთხვევის გამოვლენისას, ოჯახისა და ორგანიზებული კონტაქტების ერთჯერადი ვაქცინაციას აცრის სტატუსის გათვალისწინებით;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის ერთჯერადი ვაქცინაციას.

კამპანია მიმდინარებს სლოგანით:

– ვაქცინები მოქმედებს! აცერი და დაიცავი!

- ვაქცინაცია წითელასგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა! შეაჩერე წითელას გავრცელება საქართველოში - არ გადადო, აიცერი!

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2018 წელს კამპანიის ფარგლებში წითელას საწინააღმდეგო აცრები უკვე ჩაიტარა 414 მოქალაქე, აცრები კვლავ გრძელდება. შევაჩეროთ წითელას გავრცელება დედოფლისწყაროში.***

***დ/წყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა, იმუნიზაციის კვირეულის განმავლობაში, განახორციელა სხვადასხვა აქტივობები: შეხვედრა ჯანდაცვის სპეციალისტებთან, ამბულატორიისა და შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ექიმებთან, აცრებზე ნეგატიურად განწყობილ მშობლებთან. კვირის განმავლობაში ხალხმრავალ ადგილებში დარიგდა იმუნიზაციის ბუკლეტები, გაიკრა პლაკატები. ჩვენი მიზანია შევახსენოთ მოსახლეობას: ვაქცინები მოქმედებს !***

**არ გადადო, აიცერი!**

# ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დღემდე საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 35 ,304 ,957 ლარზე მეტი დაიხარჯა.

2013-2017 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზებიდან სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 88 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზას.

რეაბილიტირებული გზის სრულ მონაკვეთზე მოეწყო ახალი ასფალტ/ბეტონის საფარი.

78 კილომეტრიან მონაკვეთზე ორივე მხრიდან მოეწყო ბეტონის კიუვეტი.

წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის შიდა სახელმწიფოებრივი გზის 56 კილომეტრიან მონაკვეთზე მოეწყო საგზაო ინფრასტრუქტურა: საგზაო ნიშნები, თანამედროვე სტანდარტების მოსაცდელები, სანიაღვრე არხები, ღვარგამტარი ბოგირები, თვალამრიდები, ხოლო დასახლებულ პუნქტებში - ტროტუარები.

ილიაწმინდა-ბოდბე-გამარჯვების 10 კილომეტრიან გზის მონაკვეთზე მოეწყო სანიაღვრე არხები, თვალამრიდები, ღვარგამტარი ბოგირები, ტროტუარები ,საგზაო ნიშნები და სხვა.

2018 წელს დაგეგმილია 14 კილომეტრიანი გზის სრული რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს მთლიანად ახალი ასფალტის საფარის მოწყობას.




# აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 2 (ორი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი კვ.მ. | ქირის წლიური საფასური (ლარებში) | „ბე“ საწყისი ფასის (ლარებში) | „ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში) | „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ.N28 | ყოფილი დაცვის პოლიციის შენობა | 52.08.34.025 | 160 | 3930 | 10% | 5% | 100 |
| 2 | ქ.დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ.№2 | ყოფილი სტატისტიკის შენობა | 52.08.34.034 | 11,10 | 315 | 10% | 5% | 100 |
| 3 | ქ.დედოფლისწყაროში, ფიროსმანის ქ.№2 | ყოფილი სტატისტიკის შენობა | 52.08.34.034 | 97 | 2054 | 10% | 5% | 100 |
| 4 | ქ.დედოფლისწყაროში, კოსტავას ქ.№1 | კულტურის სახლის შენობა | 52.08.34.017 | 15 | 540 | 10% | 5% | 100 |
| 5 | ქ.დედოფლისწყაროში, ჰ.გონაშვილის ქ.№6 | ყოფილი კომისარიატის შენობა | 52.08.33.086 | 58,05 | 1770 | 10% | 5% | 100 |
| 6 | ქ.დედოფლისწყაროში, ჰ.გონაშვილის ქ.№6 | ყოფილი კომისარიატის შენობა | 52.08.33.086 | 11,1 | 369 | 10% | 5% | 100 |
| 7 | ქ.დედოფლისწყაროში, კოსტავას ქ.№40 | ყოფილი ძველი რაიკომის შენობა | 52.08.34.091 | 59,8 | 1405 | 10% | 5% | 100 |
| 8 | ქ.დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა | ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობა, მეორე სართული | 52.08.34.063 | 152,2 | 2700 | 10% | 5% | 100 |
| 9 | სოფელი ზემო მაჩხაანი | ძველი ფოსტისა და სასოფლო საბჭო | 52.01.33.007 | 18,24 | 238 | 10% | 5% | 100 |
| 10 | სოფელი ზემო მაჩხაანი | ძველი ფოსტისა და სასოფლო საბჭო | 52.01.33.007 | 14,84 | 196 | 10% | 5% | 100 |
| 11 | სოფელი არბოშიკი | ყოფილი სასოფლო საბჭოს შენობა | 52.03.34.007 | 16,32 | 217 | 10% | 5% | 100 |
| 12 | სოფელი ზემო ქედი | ადმინისტრაციული შენობა | 52.09.32.010 | 22,97 | 280 | 10% | 5% | 100 |
| 13 | სოფელი არხილოსკალო | ადმინისტრაციული შენობა | 52.10.32.005 | 48,86 | 560 | 10% | 5% | 100 |
| 14 | სოფელი სამთაწყარო | სახლის დაუმთავრებელი შენობა | 52.12.32.009 | 167,2 | 658 | 10% | 5% | 100 |
| 15 | ქ.დ.წყარო, ს.ხორნაბუჯი ს.სამრეკლო | ელექტროგანათების ბოძი | | 783 ცალი | 1370 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300533212 (შენობა-ნაგებობების იჯარა);

   კოდი-300533325 (სხვა ნაგებობების იჯარა)
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულს ჩაეთვლება იჯარის ქირაში.

საიჯარო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

**საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40**

სააუქციონო კომისია

# საოპერო მომღერალი ილია ათანელიშვილი ხელოვნების სკოლაში

**რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში დედოფლისწყაროს საზოგადოება საოცრად ლამაზი საღამოს მომსწრე გახდა. ხელოვნების სკოლას თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საოპერო მომღერლები ესტუმრნენ ჩვენი საამაყო შვილის- ილია ათანელიშვილის ხელმძღვანელობით და მშვენიერი საოპერო არიებით დაგვატკბეს.. მოგეხსენებათ, ილია ჩვენი სასიქადულო თანამემამულის, მსოფლიო ბანის ტიტულის მფლობელის, დიდი ლადო ათანელიშვილის ვაჟი გახლდათ და ის თავის მეგობრებთან ერთად მართლაც ღირსეულად წარსდგა მაყურებლის წინაშე.**

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ საქართველოს საოპერო სამყაროს ამომავალი ვარსკვლავები, შესრულდა ვოლფგან ამადეუს მოცარტის ლეპორელოს I არია ოპერიდან „დონ ჟოვანი“, შემსრულებელი ილია ათანელიშვილი; კამილ სენ სანსი, დალილას არია ოპერიდან „სამსონი და დალილა“, შემსრულებელი ლილი მაჭავარიანი; გაეტანო დონიცეტი, ენრიკო შერვეზის არია ოპერიდან „მარია დი როინი“, შემსრულებელი ირაკლი მუჯირი; ჯაკომო პუჩინი, ლაურეატას არია, ოპერიდან „ჯანნი სკიკი“ შემსრულებელი ეკა ჯეჯელავა, მ. გლინკა სუსანინის არია ოპერიდან „ივან სუსანინი“ შემსრულებელი გიორგი რეხვიაშვილი; მასკანი, ენაბლუს არია, ოპერიდან „ნიღბები“ შემსრულებელი ბესიკ კალანდაძე; ფრანჩესკო ჩილეა, ადრიანას არია, ოპერიდან „ადრიანა ლეკუვრერი“, შემსრულებელი ეკა ჯეჯელავა; დიმიტრი არაყიშვილის რომანსი „მე შენ გელი“ შემსრულებელი ირაკლი სილაგაძე; რევაზ ლაღიძე, „ბერდოს გოდება“ ოპერიდან „ლელა“ შემსრულებელი გოჩა გაბიძაშვილი; ალექსანდრე მაჭავარიანი, რომანსი „არ დაიდარდო დედაო“, შემსრულებელი ირაკლი მუჯირი; დიმიტრი არაყიშვილი, რომანსი „ანდერძი“ შემსრულებელი ილია ათანელიშვილი; მელიტონ ბალანჩივაძე, რომანსი, „ოდესაც გიცქერ“, შემსრულებელი გოჩა გაბიძაშვილი; დიმიტრი არაყიშვილი „აბდულ არაბის არია“ ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შემსრულებელი ბესიკ კალანდაძე; ზაქარია ფალიაშვილი, ოპერა „დაისი“ მალხაზის და მაროს დუეტი, შემსრულებლები ირაკლი სილაგაძე და ეკა ჯეჯელავა.



თითოეული გამომსვლელის და შესრულებული სიმღერის შემდეგ, ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ოვაციები არ ცხრებოდა, საოპერო სიმღერების მოსმენას მოწყურებულ მაყურებელს უჭირდა საოპერო მომღერლებთან განშორება. სწორედ ამიტომ, ილია ათანელიშვილმა და გოჩა გაბიძაშვილმა ექსპრომტად შეასრულეს „ღვინოვ კახურო“, რითიც კიდევ მეტი ოვაცია დაიმსახურეს. სახეზე ღიმილი და ბედნიერება ეწერათ თვით სცენაზე მყოფ მომღერლებს, რომლებიც მსმენელის დადებითი განწყობით იყვნენ გახარებულნი.

შეხვედრის დასასრულს მომღერლებმა მასპინძლებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. ჩვენ კი, შევეცადეთ ილია ათანელიშვილს ორიოდ სიტყვით გავსაუბრებოდით.

**- რას ნიშნავდა თქვენთვის დღევანდელი დღე, ზოგადად რა ემოციაა მშობლიური მუნიციპალიტეტის სცენაზე თქვენს მეგობრებთან ერთად სიმღერა და ვისი ინიციატივით შედგა ეს ლამაზი საღამო?**

-ინიციატივა ორივე მხრიდან წამოვიდა.მე მქონდა სურვილი ჩამოვსულიყავი და მემღერა დედოფლისწყაროს მსმენელისთვის, უბრალო ხალხისთვის, ხელოვანებისთვის თუ რიგითი მოქალაქეებისთვის, ვინც მოწყვეტილია ყოველდღიურ ქალაქურ ცხოვრებას და მოწყურებულია, მოისმინოს საოპერო მუსიკა. შეხვედრა მართლაც არაჩვეულებრივი გამოვიდა, ემოციებით და სიყვარულით დატვირთული ვარ. ცხადია, ვღელავდი, რადგან ეს უბრალოდ კონცერტი არ იყო, ეს ჩემს ხალხთან შეხვედრა და მათ წინაშე ახლა უკვე მეორედ წარდგენა იყო. ჩემთვის აქ ჩამოსვლა ბევრს ნიშნავდა, რადგან მთელი ბავშვობა აქ მაქვს გატარებული, აქ გავიზარდე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თითოეულ ჩვენს მასპინძელს და ორგანიზატორს, ვინც ეს შეხვედრა მოაწყო და გვიმასპინძლა, არ მინდა, რომელიმე გამომრჩეს, მადლობა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ნონა ჯიბღაშვილს, პედაგოგ მარიამ კიკილაშვილს, ხელოვნების სკოლის დირექტორს დალი ელისაშვილის, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსს ქალბატონ თამარ თამაზაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გოჩა სამუკაშვილს და საკრებულოს წევრს მიხეილ ბახუტაშვილს. მადლობა ჩვენს მსმენელს დაფასებისთვის და იმ ემოციის ჩუქებისთვის, რაც მათ დღეს უხვად გაიღეს ჩვენთვის.

**-მოგვიყევით მცირედი მაინც თქვენი მოღვაწეობის შესახებ. ყველას აინტერესებს, სად მოღვაწეობს დიდი ლადო ათანელის ვაჟი ამჟამად?**

- ამჟამად თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერის გუნდში ვმოღვაწეობ, ასევე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის გუნდში ვარ მგალობლად და სურვილი მაქვს რომ ასე, როგორც დღეს ჩავატარეთ დედოფლისწყაროში კონცერტი ,მთელი საქართველო შემოვიაროთ და ყველას მოვასმენინოთ ჩვენი სიმღერები.

ლალი მეხრიშვილი

# ბიბლიოთეკა 80 წლისაა

*ბიბლიოთეკა, როგორც საზოგადოების სულიერ ღირებულებათა და ზოგადსაკაცობრიო ცოდნის ორგანიზებული მცველი (შემნახველი), ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში რჩება პიროვნების დამოუკიდებელი, განუწყვეტელი განათლების მძლავრ საშუალებად. ბიბლიოთეკები, რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებს, გვევლინებიან როგორც საზოგადოების სულიერი პროგრესის აქტიური მამოძრავებელი ძალა, ამდენად ისინი პრაქტიკულად მიჩნეულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ, ორგანულ ნაწილად.*

*ფაქტია, რომ ინფორმაციის მიღების წყაროთა სიმრავლემ, ნებისმიერი მასალის ვიზუალური აღქმის შესაძლებლობამ და დროის დეფიციტმა, ადამიანი, მეტნაკლებად, მაინც დააშორა წიგნს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ სხვადასხვა დროში, ნებისმიერ ეპოქაში, რეალურსა თუ ზღაპრულში, არსებულსა თუ არარსებულ განზომილებაში და ცოტახნით მაინც მოვწყდეთ ჩვენს გარშემო არსებულ ნეგატივს, რომელიც, დამეთანხმებით, არც თუ ისე ცოტაა.*

გასულ კვირას ქვეყნის მასშტაბით ბიბლიოთეკის კვირეული აღინიშნებოდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის 80 წლისთავი დაემთხვა სწორედ ამ კვირეულის ფარგლებს და ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საიბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება:“წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკა“ ჩატარდა.

შეხვედრაზე მისალმება გააკეთა მუნიციპალური ბიბლიოთეკის ხელმძღვნელმა მანანა მაჭარაშვილმა, რომელმაც კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას გაზაფხულის დღესასწაულები და სიყვარულის დღე, ისაუბრა ქალის მნიშვნელოვან როლზე თანამედროვე ცხოვრებაში, ხაზი გაუსვა სტუმრად მოწვეული თითოეული ბიბლიოთეკარის ღვაწლზე ათეული წლების განმავლობაში და თავისი გამოსვლა ასე დაასრულა:“ჩვენი საქმე დაფარულია და არ ყვირის, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ ყველას ვეძახით წიგნის გასაცნობად, წიგნში აღწერილი ამბავი ცხოვრების სასწავლებელია, კარია ახალი სამყაროსკენ გაჭრილი. ჩვენ ზუსტად ამ საქმეს ვემსახურებით და ემსახურებოდნენ ჩვენი წინამორბედნი. დღევანდელ საიუბილეო თარიღს მოგილოცავთ და ყველას ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წინსვლას გისურვებთ. მათ, ვისაც ოდესმე უმუშავია ბიბლიოთეკაში და დღეს არიან, მივესალმები, ვინც დაგვტოვა, ხსოვნა-სანთელი მათ. ეს დღე მადლიერების გამოხატულებაა მათ მიმართ, ვინც იღვაწა, იშრომა და კვალი დატოვა რაიონში საბიბლიოთეკო დარგის განვითარებისათვის. გაანათლო ხალხი, ნიშნავს, აამაღლო მისი ზნეობა, გახადო იგი წიგნიერი , ცივილიზაცია შეიტანო მასში, მიყვარხართ, პატივს გცემთ, გეფერებით ყველას. „-ასე დაასრულა ქ-ნმა მანანამ გამოსვლა და ადგილი ღვაწლმოსილ პედაგოგს, ბ-ნ ეგული ყოჩიაშვილს დაუთმო. ეგული მასწავლებელმა მსმენელის ყურადღება ალექსანდე ყაზბეგის შემოქმედებაზე შეაჩერა და მოხევეთა დიდებაზე ისაუბრა, მთის ადათ-წესებზე დიდი პროზაიკოსის ნაწარმოებებში, მოახდინა გოგოლის „ტარას ბულბას“ , ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ და პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონეს“ შედარებითი დახასიათება, წაიკითხა ნაწყვეტები „ციციადან“, „ელგუჯადან“, „მამის მკვლელიდან“, თითოეული მონაკვეთი შერჩეული ჰქონდა მოხევეთა სამშობლოსა და ხევის ადათ-წესების სამაგალითო ერთგულების მიხედვით.




ალბათ, სკოლის მერე, ასე ვრცლად თვალი აღარ გადამივლია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისთვის და როგორც მსმენელმა, კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით მოვისმინე და კიდევ ერთხელ, სიყვარულით აღვივსე ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ფავორიტი მწერლისადმი.



№1 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელის- ანა ჩიტიშვილის მიერ ი.ნონეშვილის ლექსის „დედას,დას, სატრფოს, მეუღლეს“ ულამაზესი დეკლამატორული ნიჭით წაკითხვამ მაყურებელთა ოვაციები გამოიწვია. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინიკო ელაშვილმა გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა დამსწრე ქალბატონებს, გვესაუბრა ქალისა და დედის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოსვლა კი ასე დაასრულა:“ძვირფასო სტუმრებო, კოლეგებო, დღეს როდესაც ტელევიზიამ და სოციალურმა მედიამ თითქმის სრულიად დაისაკუთრა ჩვენი ახალგაზრდების თავისუფალი დრო, ჩვენ, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, განსაკუთრებული ვალდებულებები გვაკისრია. ჩვენ უნდა შევძლოთ და მკითხველამდე მივიტანოთ ის დიდი მადლი, რასაც წიგნის სიყვარული ჰქვია. უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ იმ დიდ საგანძურს, რომელსაც წლების განმავლობაში ქმნიდნენ ქალბატონები, რომლებიც დღეს აქ, ამ დარბაზში იმყოფებიან. ქალბატონები, რომლებიც ძალას და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა შეენახათ ის უნიკალური , საინტერესო და ძალიან ძვირფასი წიგნები, რომლითაც დღეს ჩვენ ასე ვამაყობთ და თავს ვიწონებთ.“

შეხვედრა ძალიან თბილად და საინტერესო მოგონებების გახსენებით გაგრძელდა. აქ მოწვეულმა ბიბლიოთეკარებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალური ბიბლიოთეკისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას ასეთი თბილი შეხვედრისთვის და მათი სამუშაოს დაფასებისთვის.

დასასრულს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები:თინათინ სულაშვილი, მარგო იაკობიშვილი, ცეცელო ჯანაშვილი, ქრისტინე კიკილაშვილი, ნანა გოგილაშვილი და მაყვალა გილაძე, რომლებიც ათეული წლები ერთგულად ემსახურებდნენ მკითხველს, საჩუქრებით დააჯილდოვა , პერსონალურად მადლობა გადაუხადა თითოეულ თანამშრომელს, კიდევ ერთხელ მიულოცა პროფესიული დღე და ნებისმიერი საქმიანობის ხელშეწყობაში მხარდაჭერას დაპირდა.

ბიბლიოთეკის 80 წლის საიუბილეო საღამოს ქალაქისა და სოფლების ბიბლიოთეკების ყველა თანამშრომელთან ერთად მუნიციპალიტეტის მერიის, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, მწიგნობართა ასოციაციის წარმომადგენლები და სკოლის დირექტორები ესწრებოდნენ.

ელზა ხარაშვილი

# ჰერეთი ქართველების გარეშე რომ არ დარჩეს...

***სოფელ სამთაწყაროში საინგილოსთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნის საკითხი გასულ კვირას პარლამენტში განიხილეს. აზერბაიჯანის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ორი კომიტეტის თავმჯდომარემ გამართა. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი კაპანაძე. ხიდის გახსნის გარდა სხვა პრობლემური საკითხებიც განიხილეს. ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს კი პრობლემები მრავლად აქვთ. გასულ კვირას საინგილოში არსებულ პრობლემებზე პრესკონფერენცია გამართა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ, რომელთან ერთად ჰერეთში მცხოვრები ქართველებიც იმყოფებოდნენ.***

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზვიად კვაჭანტირაძემ და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა აზერბაიჯანის ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა 17 აპრილს გამართეს. სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც კომიტეტების თავმჯდომარეებთან ერთად, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სალომე ზურაბიშვილი, კომიტეტის წევრი, მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ნავერიანი და პარლამენტის წევრი სიმონ ნოზაძე ესწრებოდნენ, მხარეებმა აზერბაიჯანის ქართული ისტორიული დიასპორის პრობლემატიკა განიხილეს.

საუბარი ქალაქ კახში მოქმედი ანსამბლის „ჰერულას“ ფუნქციონირებისა და პროექტის „ჰერეთის სახლის“ განხორციელების საკითხებსაც შეეხო. განსაკუთრებული ყურადღება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების და მათი ხელშეწყობის საკითხს დაეთმო. თავად ჰერებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში არსებული ხიდი, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, დაკეტილია. ასევე აღინიშნა, რომ საინგილოში მოქმედ ქართულ სკოლებში 2003 წლის შემდეგ ქართულენოვანი სახელმძღვანელოები აღარ შეუტანიათ, შესაბამისად მოსწავლეებს მშობლიური ენის შესწავლა გამოუსადეგარი, ძველი წიგნებით უხდებათ. ჰერები წუხან იმაზეც, რომ საქართველოს სკოლებში და ზოგადად, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ჰერეთის არსებობის შესახებ ცოდნის მკვეთრი კლების პრობლემა დადგა და ხელისუფლებისგან ითხოვენ, ჰერეთის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად ქართული სახელმძღვანელოების გადახედვას.

ჰერები ითხოვენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის მეორე პუნქტის გაუქმებას, რომლის საფუძველზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე უარით პასუხობს იმ ჰერელ აბიტურიენტებს, რომლებიც ფლობენ „თანამემამულის სტატუსს“. ასევე, თხოვნით მიმართავენ დეპუტატებს, რომ ამავე „თანამემამულის სტატუსის“ მოქალაქეობასთან მიახლოების პრინციპის საფუძველზე, ჰერეთის ქართველები ჩართონ საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში. „შირაქის“ ინფორმაციით, „თანამემამულის სტატუსს“ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გასცემს და ამით დაახლოებით 1000-მდე ჰერეთის მკვიდრი სარგებლობს.

**„შეხვედრაზე განვიხილეთ ჰერელი, ინგილო ქართველების, მათ შორის ახალგაზრდების და სტუდენტების მდგომარეობა საქართველოში. ვიმსჯელეთ მათი ინიციატივით დაფუძნებული „ჰერეთის სახლის“ სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებებზე. არის საკითხები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდება დამატებითი ჩარევა, რადგან სამწუხაროდ, კანონმდებლობით ყველაფერი არ არის დარეგულირებული. ამ ახალგაზრდებს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდებათ.** აგრეთვე ვისაუბრეთ აზერბაიჯანის რეგიონში, კონკრეტულად კი კახის, ზაქათალას და ბელაქანის დიასპორის პრობლემებზე და დავსახეთ კონკრეტული ამოცანები, რომელთა გადაჭრაც მოგვიწევს ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად“, - განაცხადა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზვიად კვაჭანტირაძემ.

შეხვედრაზე ასევე მიმოიხილეს სახელმწიფოს მხრიდან დიასპორასთან ეფექტური თანამშრომლობისთვის გადადგმული ნაბიჯები და ის აქტივობები, რომელიც კულტურული და საგანმანათლებლო კუთხით, ორი ქვეყნის თანამშრომლობის ფორმატში უნდა გადაწყდეს.

**„აზერბაიჯანის ისტორიული ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან განვიხილეთ ის საკითხები, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი დიასპორისთვის. ვისაუბრეთ განათლების საკითხებზე, კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობის მიმართულებებზე, ჯანდაცვის კუთხით განსახორციელებელ აქტივობებზე, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში შესაძლებელია რომ გადაწყდეს“**, – განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა.

შეხვედრაზე დიასპორის წარმომადგენლებმა პარლამენტის წევრებს შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადეს და სამომავლოდ კიდევ უფრო აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.



შეხვედრას სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დირექტორი, ირაკლი ჟორჟოლიანი, ისტორიკოსი მკვლევარი - კავკასიოლოგი, პროფესორი, კიაზო ფიცხელაური, ანსამბლის „ჰერულა“ სამხატვრო ხელმძღვანელი, გიორგი პაპიაშვილი, პროქტის „ჰერეთის სახლი“ დამფუძნებლები, ვასილ პაპიაშვილი და მიხეილ ნუროშვილი და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ლევან თედიაშვილი ესწრებოდნენ. თედიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, რომ ჰერეთში მცხოვრებ ქართველებზე გული იმდენად შესტკივა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად საჭიროდ ჩათვალა შეხვედრას აუცილებლად დასწრებოდა. შეხვედრიდან გამოსულმა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ კი კომენტარის გაკეთება არ ისურვა. კიაზო ფიცხელაურმა ჰერეთის მნიშვნელობაზე ისაუბრა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ისტორიული კუთხიდან ჩამოსულ ქრისტიანებს.

„ნაყოფიერი შეხვედრა იყო, ყველაზე მტკივნეული საკითხები განვიხილეთ: კულტურის ცენტრი და კულტურის სახლი, ჰერელი სტუდენტების პრობლემები, სამთაწყაროს ხიდზე მიმოსვლის აღდგენის საკითხი, ჰერელების საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვა, ანსამბლი „ჰერულასთვის“ ჩოხების მოთხოვნის საკითხი... ა(ა)იპ-ი „ჰერეთის სახლი“ 2016 წელს შეიქმნა. მასში შედის ასევე ანსამბლი „ჰერულა“, ჰერეთის არქივი და ელექტრონული ბიბლიოთეკა. პარლამენტს ვთხოვეთ, თბილისში ფართის გამოყოფაში დაგვეხმარონ, რათა ორგანიზაციამ ეფექტურად იმოქმედოს. ჩვენთვის მთავარი პრობლემა ორგანიზაციისთვის ფართის არარსებობაა, თორემ შემდგომში ვეცდებით რომელიმე სამინისტროში შევიტანოთ პროექტი, რათა დაფინანსების მოპოვება და განვითარება შევძლოთ.მე კმაყოფილი ვარ შეხვედრით, დაიგეგმა რიგი ღონისძიებები ამ საკითხების გადაჭრის მიზნით. იმედით შევყურებ ამ შეხვედრის შემდეგ მომავალს. ცხადია, მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დაგვიდგა ამ საქმეებში და ამ ეტაპამდე მივედით,“ – განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ანსამბლის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.



გასულ კვირას ჰერეთში, კახის რაიონში მცხოვრებმა მოქალაქეებმა და „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ თბილისში პრესკონფერენცია გამართეს ჰერეთში (საინგილო) არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მათი თქმით, იქ მყოფი ქართველებისთვის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. მისივე თქმით, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საინგილო ქართველების გარეშე დარჩეს.

„ბევრჯერ დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორი მძიმე მდგომარეობაა ჰერეთში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს **ტერიტორია კონცლაგერადაა გადაქცეული ეთნიკურად ქართველებისთვის. ქრისტიან ქართველებს ბევრი პრობლემა აქვთ იქ. ზაქათალაში წმ. სამების ტაძარი ტუალეტადაა ქცეული, სხვა ტაძრებში აკრძალულია შესვლა, ვერ ჩადის ეპისკოპოსი, ვერ შედის რელიგიური ლიტერატურა და ხატები. შეზღუდულია სწავლა-განათლებაც, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაც საკმაოდ მძიმეა ქართველებისთვის, ყველაფერი კეთდება, რომ საინგილო დარჩეს ქართველების გარეშე.** ესაა პროგრამა, რომელსაც აზერბაიჯანის მთავრობა ახორციელებს. იქ მყოფ ქართველებს არ აქვთ მკურნალობის საშუალება. საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ, რომ ჯანდაცვის კუთხით დაეხმარნონ მათ. თუ ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, 15 000 ქართველიდან მალე ასიც აღარ დარჩება იქ. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ პრივილეგირებულ მდგომარეობაშია ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი ხალხი. ყოველ ნოვრუზ ბაირამზე ჩვენი მთავრობა ჩადის მათთან და ახლა, 6 მაისს, გიორგობაზე ნახავთ, თუ ჩავა ვინმე მათი წარმომადგენელი ჰერეთში“, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

როგორც კახში მცხოვრებმა დანიელ ყულოშვილმა აღნიშნა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც აღდგომის დღესასწაულზე იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა ცეცხლი საზღვარზე არ შეატანინეს და შეგნებულად ჩაუქრია მესაზღვრეს.

**„პირველი პრობლემა ესაა ეთნიკური დევნა, ხოლო მეორე-რელიგიური. ყველა ნაბიჯზე ჩვენს მრწამსს ეხებიან და ცდილობენ, რომ შელახონ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც აზერბაიჯანელ მესაზღვრეს აღდგომის დღესასწაულზე იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა ცეცხლი შეგნებულად ჩაუქრია და ჩვენამდე ვერ ჩამოუღწევია.** ყველაზე დიდი პრობლემაა ასევე, წიგნების გადმოტანა, ეშინიათ, რამე ისეთი არ იყოს. რეალიზაციის საშუალება არ არის“,– აღნიშნა დანიელ ყულოშვილმა.

ჰერეთში მცხოვრებმა ვახო სუყაშვილმა კი ჯანდაცვისა და განათლების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მისივე თქმით, იქ არსებულ სკოლებში 2003-04 წლებში გამოშვებული სახელმძღვანელოებით ასწავლიან, ამიტომ ვერ ხერხდება საკმარისი განათლების მიღება.

***რამდენიმე დღის შემდეგ კი „უფლებადამცველთა გაერთიანება“ და საზოგადოების ერთი ნაწილი თბილისში, აზერბაიჯანის საელჩოსთან შეიკრიბა და იგივე პრობლემები საპროტესტო-გამაფრთხილებელ აქციაზეც ხმამაღლა გააჟღერა. მოგვიანებით მჟავანაძემ საელჩოს წერილობითი განცხადებაც გადასცა, სადაც ჩამოთვლილ პრობლემებზე და მისი გამოსწორების გზებზეა საუბარი.***

ილია მარტყოფლიშვილი

# დედამიწა ჩვენი სახლია



22 აპრილს მსოფლიოში დედამიწის დღე აღინიშნა. თუკი კულტურულ ცხოვრებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, სამყაროს ეს ულამაზესი ქმნილება – დედამიწა – უნდა გავიხსენოთ. აგერ, ინტერნეტში, ერთი ბლოგერის ჩანაწერში ასეთი რამ ამოვიკითხე: "ეს პლანეტა, მართლაც რომ, უნიჭიერესი მხატვრის უდიდეს ნაშრომს წარმოადგენს, ის სავსეა ულამაზესი ფერებითა და ულამაზესი პეიზაჟებით"... მაგრამ ეს ყველაფერი ერთი ბლოგერის ლამაზი სიტყვებია, რომანტიკაა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ. დედამიწის დღის აღნიშვნა ბუნების დამცველებს საშუალებას აძლევს ადამიანებს გაახსენონ, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომელიც არა მარტო დალაგებას, არამედ გადარჩენას საჭიროებს.

**დედამიწის დღესთან დაკავშირებით, 22 აპრილს , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებმა მიიღეს. აქციის ფარგლებში გაიწმინდა ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ ნაწილში არსებული რეკრეაციული ზონები.**

**დასუფთავებისა და გამწვანების აქციები კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის კოორდინირებით მოეწყო და მასში მონაწილეობა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტმა მიიღო.**

**დედამიწის დღე 1970 წლიდან აღინიშნება და მასში მსოფლიოს 193 ყვეყანაზე მეტი მონაწილეობს. წლევანდელი გზავნილი პლასტმასის ნარჩენების შესამცირებლად მსოფლიოს მობილიზებაა.**

**დედამიწის დღე 1970 წლიდან, ყოველ 22 აპრილს აღინიშნება. ის სენატორმა გეოლორდ ნელსონმა მას შემდეგ დააარსა, რაც სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რის შედეგადაც დაბინძურდა ოკეანე და დაიხოცნენ წყლის ბინადრები.**

**ყოველი წლის 22 აპრილს 176 ქვეყანაში ამ დღეს აღნიშნავენ სხვადასხვა ორგანიზაციები. მილიონობით მოხალისე გარემოს დაცვის მიზნით მონაწილეობს ისეთ აქციებში, როგორიცაა: ბაღების და სკვერების გამწვანება, დასუფთავება, ელექტრო ენერგიის მასობრივი დაზოგვა და ა.შ.**

**თუმცა, რაღა თქმა უნდა, ამ დღის "აღნიშვნა", ანუ გარემოზე ზრუნვა წელიწადში მხოლოდ ერთხელ არ შეიძლება. დედამიწას მუდმივად სჭირდება მოვლა, ის "ცოცხალი არსებაა". ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვინც არ იცის, თუ რა საფრთხე ემუქრება დედამიწას, თუკი გარემოზე არ ვიზრუნებთ. ყოველდღე, დაუდევარი მოქმედებების შედეგად ნადგურდება უნიკალური მცენარეები, ქრება ცხოველთა ბევრი ჯიში, ბინძურდება წყალი და ჰაერი. ერთადერთი გზა ამის შესაჩერებლად არის გარემოს დაცვა.**

**უნდა შევეცადოთ და შევზღუდოთ ისეთი მოქმედებები, რითაც ზიანს ვაყენებთ ჩვენს პლანეტას. რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები, ნაკლებად დავაზიანოთ და დავანაგვიანოთ ბუნება და ასე გავუფრთხილდეთ დედამიწას ჩვენი კეთილდღეობისა და ჯანმრთელი მომავლისათვის.**

ვიზრუნოთ დედამიწაზე!

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალია. მაგრამ იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ თავად დედამიწასაც სჭირდება ზრუნვა? სამწუხაროდ, ბოლო დროს დედამიწის უსაფრთხოებას ადამიანები საკუთარი კეთილდღეობისთვის წირავენ.

ისევე როგორც ადამიანის ორგანიზმი, დედამიწაც უმეტესად მოგვიანებით რეაგირებს მავნე გავლენებზე. წლების წინათ ჩადენილი ეკოლოგიური დანაშაულების შედეგებს ახლა ვიმკით. თუ ჩვენც წინაპრებივით მოვიქეცით და საგანგაშო ნიშნებს ყურადღება არ მივაქციეთ, შთამომავლობასაც მძიმე მემკვიდრეობას დავუტოვებთ. თუ შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ჯანმრთელობა რამედ გვიღირს, უწინარესად დედამიწის ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ.

გარემოს დამცველებს სურთ, 2020 წლის 22 აპრილს,



დედამიწის დღის დაარსების 50-ე წლისთავს, მნიშვნელოვანი ცვლილებებით შეხვდნენ. ისინი მსოფლიოს თითოეულ მოქალაქეს მოუწოდებენ, თუნდაც ერთი "მწვანე აქტით" დედამიწის დახმარების კამპანიაში ჩაერთონ. კამპანიას უკვე 2 მილიარდზე მეტი ადამიანი შეუერთდა. დედამიწის დამცველებს იმედი აქვთ, 2020 წლისთვის მათი რიცხვი 3 მილიარდს გადააჭარბებს.

„მწვანე აქტი" შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც დედამიწის ეკოლოგიას სასიკეთოდ წაადგება — ხის დარგვა, საგანმანათლებლო მუშაობა, სიგარეტისთვის თავის დანებება...

## დედამიწის მტრები და მოკეთეები

• ტყის გაჩეხვა დედამიწის ეკოლოგიისთვის ერთ-ერთი ყველაზე მავნე მოქმედებაა. ტყეების განადგურება სახეობათა გადაშენებას იწვევს. სათბური აირების დაგროვების გამო პასუხისმგებლობის 15%-იც მის წილად მოდის.

• კაცობრიობა ბუნებრივ რესურსებს საშიში ტემპით მოიხმარს. ბოლო წლების განმავლობაში მოხმარებამ საგრძნობლად გადააჭარბა აღდგენის ბუნებრივ ტემპს. თუ ეს დინამიკა შენარჩუნდა, 2050 წლისთვის ორი პლანეტის რესურსების მოხმარება მოგვიწევს. * იცოდით, რომ სათბური აირების 20%-ზე პასუხისმგებლობა ხორცის მრეწველობას ეკისრება? ხორცის გლობალური მოხმარების გამო უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ამ აირების გამყოფა გასამმაგდა და 36 მილიარდ ტონას მიაღწია.

• დედამიწის "ჯანმრთელობაზე" არანაკლებ გავლენას ახდენს პლასტმასის გამოყენება. ყველამ იცის, რაოდენ მავნეა ეს, მაგრამ ცოტა თუ ცდილობს, მათი გამოყენება შეამციროს.

## არ დააბინძურო ჩემი მომავალი

დარწმუნებული ვარ, შვილის კეთილდღეობისთვის მშობელი სიცოცხლესაც არ დაიშურებს. პრობლემები, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვაპირებთ საუბარს, საფრთხეს უქმნის ჩვენი შვილების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ცალკეულ ადამიანებს მათი აღმოფხვრა თუ თავიდან აცილება არ შეუძლიათ. არათუ ცალკეულ ადამიანებს, ცალკეულ ქვეყნებსაც კი. ამისთვის მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს. საქმე ეხება ეკოლოგიურ კატასტროფას, რომელიც დედამიწას ემუქრება და რომლის პირველი ნიშნები უკვე ახდენს გავლენას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

## ეკოლოგია და სტატისტიკა

გარემოს დაბინძურებას: ჭუჭყიან ჰაერსა და წყალს, კვამლს, კანალიზაციის არარსებობას და არასათანადო ჰიგიენას, — ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკის დაახლოებით 1.7 მილიონი ბავშვის სიცოცხლე ეწირება.

ჯანმოს მონაცემებით, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევათა მეოთხედი არაჯანსაღი გარემოთია გამოწვეული. მაგალითად, 2012 წელს ბავშვთა სიკვდილიანობის 26% და საერთო ავადობის 25% ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დადგა, 2015 წელს კი ამავე მიზეზით ხუთ წლამდე ასაკის 5.9 მლნ ბავშვი გარდაიცვალა. სიკვდილის ძირითადი მიზეზები გახლდათ პნევმონია, ნაადრევი მშობიარობა, მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებები, ნეონატალური სეფსისი, თანდაყოლილი ანომალიები, დიარეა, ტრავმა, მალარია და ამ პათოლოგიათა უმეტესობა, ნაწილობრივ მაინც, გარემოს მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ჯანმოს გენერალური დირექტორის მარგარეტ ჩანის თქმით, დაბინძურებული გარემო მომაკვდინებელ გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით — პატარა ბავშვებზე. ორგანოთა სისტემებისა და იმუნიტეტის უმწიფრობა დაბინძურებული ჰაერისა და წყლის მიმართ მათ ორგანიზმს უფრო მოწყვლადს ხდის.

საგულისხმოა, რომ მავნე ზემოქმედება შესაძლოა მუცლად ყოფნის პერიოდშივე დაიწყოს და გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა თანმხლები გართულებებით. ბავშვებს, რომლებსაც მცირე ასაკში დაბინძურებულ გარემოში მოუწიათ ცხოვრება, უფრო ხშირად ემართებათ პნევმონია და სამუდამოდ მომატებული რჩებათ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების ქრონიკული დაავადებების, ინსულტისა და კიბოს განვითარებას რისკი.

## ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 5 მთავარი მკვლელი

მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 570 000 ბავშვი პნევმონიით იღუპება. ამის ერთ-ერთი მიზეზი დაბიძურებული ჰაერი და თამბაქოს კვამლის მუდმივი ზემოქმედებაა.

• 361 000 ბავშვი დიარეას ეწირება. ნაწლავური აშლილობის განვითარებას სუფთა წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების არარსებობა უწყობს ხელს.

• 270 000 ბავშვი სიცოცხლის პირველსავე თვეს ეწირება ამა თუ იმ პათოლოგიას, მათ შორის — ნაადრევ მშობიარობას, რომლის თავიდან აცილებაც გარემოს დაბინძურების შემცირებით, წყლის სისუფთავით და სამედიცინო დაწესებულებებში სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნით იქნებოდა შესაძლებელი.

• 200 00 ბავშვი იღუპება გარემოსთან დაკავშირებული მოულოდნელი ტრავმის — დაცემის, დახრჩობის და სხვათა — შედეგად.

• 200 000 ბავშვი მალარიით კვდება. მალარიის გავრცელება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული წყალსატევების მდგომარეობაზე — დაავადების გადამტანი კოღო ანოფელესი უმთავრესად სწორედ წყალსატევების გარშემო ბინადრობს.

## რა აბინძურებს გარემოს?

• კლიმატის ცვლილება გარემოს დაბინძურებით გამოწვეული მოვლენაა, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქა-



დის ბავშვთა ჯანმრთელობას. ტენდენცია არცთუ იმედის მომცემია: წყლის მარაგის შემცირება და მოუსავლიანობა შიმშილობის ზრდას და ზრდის შეფერხებას შეუწყობს ხელს. ტემპერატურის მომატებასთან ერთად ბავშვებში მოიმატებს დამწვრობითი სტრესით განპირობებული თირკმელების დაზიანების გავრცელებაც. გარემოში მეტი იქნება ყვავილის მტვერი, რის შედეგადაც მოიმატებს ასთმის მაჩვენებელი.

ასთმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაინფექციური დაავადებაა. ამჟამად ეს დაავადება უდასტურდება 235 მილიონ ადამიანს. მთელ მსოფლიოში 1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების 14%-ს ასთმის სიმპტომები აქვს. ექსპერტთა შეფასებით, აღრიცხულ შემთხვევათა 44% სწორედ გარემოს დაბინძურების შედეგია. დაბინძურებული ჰაერი, თამბაქოს კვამლი, ობი და ნესტი საცხოვრებელ გარემოში ასთმის მიმდინარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

• გარემოს დაბინძურებას ხელს უწყობს არასათანადო სანიტარია და არაჯანსაღი საწვავის (მაგალითად, ნახშირის ან ნაკელის) გამოყენება. ორივე ფაქტორი ზრდის ბავშვთა მთავარი მკვლელების — დიარეისა და პნევმონიის — განვითარების რისკს.

• ელექტრონული და ელექტრონარჩენები (მაგალითად, ძველი მობილური ტელეფონები), რომლებსაც არასათანადოდ გადაამუშავებენ, გამოყოფს ტოქსინებს, რომლებიც ბავშვების ინტელექტის დაქვეითებას, ყურადღების დეფიციტს, ფილტვების დაზიანებასა და კიბოს იწვევს. პროგნოზის თანახმად, 2018 წლისთვის ელექტრონული და ელექტრონარჩენების წარმოება 19%-ით გაიზრდება.

• ბავშვები ასევე ხშირად განიცდიან მავნე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებას. ბევრგან ისევ იყენებენ ტყვიის შემცველ საღებავებს. ტყვია ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქიმიური ნივთიერებაა. მცირეწლოვანი ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მისი მავნე ზემოქმედების მიმართ. ყველაზე მეტად ტყვია თავის ტვინს აზიანებს. იქიდან გამომდინარე, რომ პატარები ხშირად თამაშობენ მიწაში, მერე კი ჭუჭყიან ხელებს პირში იდებენ, დიდია ალბათობა, ტყვიის მავნე ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ.

• ყველაფრისთვის გემოს გასინჯვის სიყვარულის გამო პატარებს ემუქრებათ მწერებისა და მღრღნელების საწინააღმდეგო თუ დასასუფთავებელი საშუალებებით, ბენზინით, ნავთით, გამხსნელებით მოწამვლაც. ფიზიოლოგიური უმწიფრობის გამო პატარები ინტოქსიკაციის მიმართ ზრდასრულებზე მოწყვლადნი არიან.

მწვავე მოწამვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პესტიციდების არასწორი შენახვა, გამოყენება და უტილიზაციაა. ფთორიდები, ტყვია, ვერცხლისწყალი, პესტიციდები თუ სხვა დამაბინძურებლები საბოლოოდ ხშირად საკვებში ხვდება.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1957 WLIS MAISI

● SOFEL OZAANIS KOLMEURNEOBIS MEZROXEOBIS FERMASI ZROXA IRMAM SAMI XBO MOIGO. ERTIS WONA 17 KILOGRAMIA, DANARCENEBIS 15. XBOREBI JANMRTELAD ARIAN DA NORMALURAD VITARDEBIAN. MOMVLELI ISETA BORCASVILI MZRUNVELOBAS ICENS.

● SAPIRVELMAISO ZVIRFASI SACUQARI MIIRES SOFEL JAFARIZIS MSROMELEBMA. KULTURIS SAXLSI DAMONTAJDA STACIONALURI KINODANADGARI, ROMELIC EQSPLUATACIASI SEVIDA 28 APRILIDAN. KINOSURATIS CVENEBA MIMDINAREOBDA UWYVETLIV, XARVEZEBIS GARESE.JAFARIZELEBMA -SAKUTARI DANADGARIT PIRVELAD INAXULES KINOSURATI `MDEVARI~.

● OZAANIS MALENKOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM AAGO ZETIS SAXDELI QARXANA, ROMELIC AM DREEBSI EQSPLUATACIASI SEVIDA. QARXANA MOMSAXUREOBAS GAUWEVS ROGORC KOLMEURNEOBAS, ISE AM SOFLIS MOSAXLEOBAS.

● SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM SAGAZAFXULO SATOXNI KULTUREBIS DAMUSAVEBIS DAWYEBASTAN DAKAVSIREBIT GAXSNA SABAVSVOBARI, ROMELIC MOMSAXUREOBAS GAUWEVS 60-ZEMET DEDAS. AMIT KI SAGRZNOBLAD GAUIZRDEBA MINDVRAD MOMUSAVE KOLMEURNETA RICXVI TU SROMIS XARISXI. BARIS ARMZRDELEBI DA MOMVLELEBI MZRUNVELOBIT DASTRIALEBEN TAVS PATAREBS. SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBIS MAGALITI MISABAZIA SXVA SOFLEBISTVISAC.

## 1975 WLIS MAISI

● WITELWYAROS KOMKAVSIRIS RAIKOMIS MEORE MDIVNIS GODERZI ABULASVILIS KABINETSI TELEFONI AWKRIALDA. SOXUMIDAN STXOVDNEN, GAERKVIAT ZEMO MACXAANSI 1927 WELS DABADEBULI IVANE YOCIASVILIS OJAXI DAEDGINAT, ROMELIC OMSI 1942 WELS WAVIDA DA ARAR DABRUNEBULA. FEXEBSI DAIWRA DA UKAN DAXEVIS BRZANEBAS VERAR DAEMORCILA. ZEMO BODBIS MKVIDRMA ILIA MOSESVILMA STXOVA WAEYVANA, MAGRAM AR DATANXMDA DA BLANDAJSI DARCA. 31 WLIS SEMDEG SOXUMIS XIX-E SKOLIS WITELI KVALMAZIEBLEBI SALASQROD IYVNEN SANWAROS URELTEXILZE, SADAC VIWRO BILIKEBIT MIARWIES. IX-E KLASELMA TAMAZ SURGULAZEM BLANDAJSI XISTIS WVERI DAINAXA. MIXVDA, ROM NESTI IQNEBODA. WABUKMA GAWMINDA DA JARISKACIS CONXI NAXA. IQVE IYVNEN SKOLIS DIREQTORI MIXEIL GUBAZI, FIZKULTURIS MASWAVLEBELI IURI USTABASVILIC IYVNEN. MAT IPOVES MEDALIONI, SADAC VINAOBA DA MISAMARTI EWERA. MAMACI MEBRZOLIS ZVLEBI MSOBLIUR SOFELS DAUBRUNDA. SAMGLOVIARO MITINGI GAIMARTA SAXL-MUZEUMIS EZOSI, SADAC 357 VASLIS XEA GASENEBULI SINMOUSVLEL ZMATA UKVDAVSAYOFAD. SWORED XESTAN GATXRIL SAFLAVSI CAUSVES MISI NESTI DA MSOBLIUR SOFELSI MOKREFILI YVAVILEBIT SEAMKES.



● AMASWINAT, FORE MOSULISVILIS ZMASTAN VASILTAN ERTAD GAVEMGZAVRE SIRNARSI, SOFEL BODBISXEVSI, FORES DIS, ELOS SANAXAVAD. ZMAM DAS CEMI TAVI GAACNO, ROGORC FORES GZIS MAZIEBELI, RAZEC QALS KUNWULA CREMLEBI CAMOSCVIVDA. `ZLIER BEVR WERILS MIGZAVNIDA, ATAS RAMEZE MWERDA, OXUNJOBDA, VTXOVE SAOJAXO ALBOMI ECVENEBINA. UNIKALURI FOTO GAMOITANA, ROMELIC 1941 WLIS 9 MAISS MIIRO LITVIDAN. AM UNIKALUR FOTOS TQVENC GTAVAZOBT. AMBOBS, `CERQEZKA~ QAMARXANJLIANI, GARIBALDIS QUDSI GADAREBA UYVARDAO DA SWORED ASE GAMOWYOBILS GADAURIA ES SURATI. UKAN SIMAGRISTVIS MUYAO HQONDA WEBOTI DAKRULI. VTXOVE, AVACLI METQI DA RAS VXEDAV, FORES XELIT NAWERI AVTOGRAFI: `SAXSOVRAD ELOS. GADARBULIA 1941 WELS. ISINI TU AR MOGIVIDA, IQNEB ES SURATI MAINC MOGIVIDES DA ARAR DAMEMDURO. IGZAVNEBA S O R I D A N, KOIDANIDAN, LITVIS SSR. GZAVNIS FORE MOSULISVILI, SAXSOVRAD DA MOSAGONEBLAD LITVIS GORODISA. VELODEBI SALIKOS SURATS.~ SALIKO ELOS SVILIA, FORES ZALIAN UYVARDA, GACILEBIS DROS KALTAZE CAMOEKIDA, AR GAGISVVEB, MEC WAMIYVANEO~.. - WERS ISTORIIS MASWAVLEBELI IOSEB MENTESASVILI.

● ERT DRES STUMARMA SEMOMTAVAZA ABANOSI AVIDET DA MERE MTELI DRE CVENI IQNEBAO BILETI ROM AVIRE, LUQSSI SEBRZANDITO. CEMS SIXARULS SAZRVARI AR HQONDA, ERTI LUQSIA DA ISIC CVEN GVERGUNAO. JER WYALICKI AR GVESXUREBINA, RADGAN CIVI DA CXELI SXAPIS DAREGULIREBAS DIDI DRO DASWIRDA, UKVE MOGVAZAXES LUQSI DACALETO. LUQSIS GAGONEBAZE STUMARMA GADAIXARXARA, RADGAN ORI DUSIS NACVLAD ERTI MUSAOBDA, SICIVISGAN GVAKANKALEBDA, YVELAFERI MOSLILI IYO. ABAZANA AMOBRUNEBUL `KUSETKAS~ HGAVDA, TANSACMLIS KARADA KI SAQATMES. GAOGNEBULI STUMARI MEKITXEBODA, LUQSI TU ASETIA, CVEULEBRIVI NOMERI RARA IQNEBAO. GACIVEBULEBI DA DAZMAREBULEBI WAMOVEDIT SAXLISKEN. GZAD AMXANAGI SEMXVDA DA `ABANO GAAMOTO~, MITXRA. ASE CEMS MTERS AAMOS METQI. AM WERILIS GAMOQVEYNEBIS SEMDEG REDAQCIASI KIDEV RAMDENIME MAMXILEBELI WERILI SEMOVIDA. SEMDEG MOSAXLEOBAS WERILIT UPASUXA SAYOFACXOVREBO SAMMARTVELOS UFROSMA I. DATUKISVILMA. `SAKITXI DAYENEBULIA AXALI QVABEBIS GAMOYOFIS DA MDGOMAREOBIS GAMOSWOREBISTVIS, VFIQROBT, SAMINISTROS DAXMAREBIT, UAXLOES MOMAVALSI MDGOMAREOBA GAMOSWORDEBA,~ - GVACNOBA DATUKISVILMA.

● ZEMO MACXAANSI, ROBITAANT ALAYAFIS KARI WRIALIT GAIRO DA MARJVENAMOKVETILMA JARISKACMA EZOSI SEABIJA. DIASAXLISI, EQIMIS MEURLE MIXVDA, ROM MOKVETILI MARJVENA MISI QMRIS NAXELAVI IYO. DEDAM KI MUXLEBSI ZALAGAMOCLILMA CAILURLURA: DEDA MOGIKVDES, SVILO, NUTU MXSNELI MARJVENA DAKARGEO. XMAURZE EZO SWRAFAD GAIVSO, YVELAS EGONA EQIMI DABURUNDA KERAS FRONTIDANO. - `ME ZVELANAGELI GAXLAVART, FRONTIDAN AXLAXAN DAVBRUNDI. MKLAVSI DAWRILS MXSNELAD GOGIA EQIMI MOMEVLINA DA SICOCXLE SEMINARCUNA, MARJVENAC MOMKVETA. MADLIEREBIS NISNAD MISOJAXS VEWVIE. MINDA GACNOBOT, ROM IGI KARGADAA DA KVLAV SEMARTEBIT EBRZVIS PIRSISXLIAN FASIZMS~. EZO DUMILMA MOICVA, YVELAS CREMLI MOHGVARA. EQIMIS DEDA WAMODGA, CREMLI TAVSAFRIS BOLOEBIT SEIMSRALA, MEOMARS MIEFERA DA MOWRIL XELZE EAMBORA.

● SSS RAIGANYOFILEBIS SADISKVALIFIKACIO KOMISIAM `SAQSOFLTEQNIKIS~ WITELWYAROS RAIONUL AVTOPARKSI GANIXILA IM SOFREBIS SAQMEEBI, ROMLEBIC ARAFXIZEL MDGOMAREOBASI MARTAVEN. GANMEOREBITI SEMTXVEVIS GAMO NIKOLOZ BAGROVS 35 WLIT AEYARA MARTVIS UFLEBA. XOLO 15 WLIT AEYARAT WITEWYAROS LENINIS SAX. KOLMEURNEOBIS TRAQTORISTS PETRE NIKOLENKOS DA SAKUTARI AVTOMANQANIS MFLOBELEBS GIVI KIKOLASVILS, LAVRENTI TURSIEVS. 1 WLIT VLADIMER AZOVS, XVTISO GOGOWURS, NODAR WIKLAURS. MOZRAOBIS WESEBIS DARRVEVISTVIS KI DAJARIMDNEN VIQTOR MARTYOFLISVILI, NUGZAR OZBETELASVILI, LAVRENTI POPOVI, ALEQSANDRE XUCISVILI DA SXVEBI. PATIOSAN SROMAS GAURBODEN SOFEL MIRZAANSI MCXOVREBI RUSLAN ELVARDISVILI DA ZEMO MACXAANELI IVANE QAVTARAZE, ROMLEBIC MXARZE XELGADADEBULNI ERTAD QEIFOBDNEN DA CXOVREBIS IOL GZAS EZEBDNEN. AMASWINAT ZMABIWEBI QAVTARAZIS BINASI RAMIS 12 SAATAMDE WRUPAVDNEN BAXUSS DA ERTIMEORES `TARIEL-AVTANDILOBAS~ EFICEBODNEN, TAN XVALINDELI QEIFISTVIS SEMOSAVLIS GEGMAS ADGENDNEN. SEZARXOSDNEN DA PATIOSNEBA GAMOCLIL BOTLEBS GAATANES. GANZRAXVIS XORCSESXMA DAIWYES. MIRZAANSI ROM CAVIDNEN, RAMIS 2 SAATI IQNEBODA, SOFELS MSVIDAD EZINA. QURDEBI KI MELIEBIVIT MICUNCULDNEN MARAZIASTAN. QAVTARAZE STOPZE DADGA, ELVARDASVILMA KARI CAAMTVRIA. XMAURMA DARAJI SAGONEBELSI CAAGDO DA YVIRILI ATEXA, MACXOVREBLEBIC GAMOCVIVDNEN. QAVTARAZE ICNES DA GAUSVES. XOLO MARAZIASI DARCENILI ELVARDASVILI GAINABA. XMAURI ROM MIWYNARDA, AIRCIA SASURVELI PRODUQTEBI DA KARGAD DAZURQULI MIVIDA SAXLSI. JAFAGAMOCLILI MSROMELIVIT MIIKVRINA. DAESIZMRA, TITQOS CAXCAXA 100 MANETIANEBS ITVLIDA DA AM DROS KAKUNMA GAMOARVIZA. OTAXSI DAUPATIJEBELI STUMREBI - SAMXREEBIANI BIWEBI SEMOVIDNEN. MEORE DILA ORIVES SAPATIMROSI GAUTENDAT. VAJBATONEBI MALE WARDGEBIAN SASAMARTLOS WINASE.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# აფხაზეთიდან გადმოსვენებული მებრძოლების ნეშტები ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს



1992-93 წლებში, აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს გაუჩინარებული მებრძოლების ნეშტებს დღეს დილმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ. აფხაზეთიდან გადმოსვენებული 18 მებრძოლისა და 4 მშვიდობიანი მოქალაქის ნეშტის ამოცნობა რამდენიმე დღის წინ დასრულდა.

დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, ძმათა სასაფლაოზე დაიკრძალებიან: **თამაზ ხარბედია** — მინისტრის მოადგილე, **მიხეილ კოკაია** — ჟიულ შარტავას მრჩეველი სამხედრო საკითხებში, **ზურაბ ძამუნაშვილი** — მებრძოლი, **გელა ფარქოსაძე** — მებრძოლი, **გოჩა შინჯიკაშვილი** — მებრძოლი, **გიორგი არზუმანოვი** — მებრძოლი, **კობა ხეჩიკაშვილი** — მებრძოლი, **ნუგზარ ფრიდონიშვილი** — მებრძოლი, **ზაზა მაჭარაშვილი** — მებრძოლი (საჩხერე), **ერმილე მაჭარაშვილი** — მებრძოლი (საჩხერე), **სიმონ ჟორჟოლიანი** — მებრძოლი (წყალტუბო), **მუხრან თუთისანი** — მებრძოლი (ხონი), **დავით ღლონტი** — მებრძოლი (ლანჩხუთი),**იმედა კოპალიანი** — მებრძოლი, **დავით წურწუმია** — მებრძოლი, **შოთა ჯლამაძე** — ექიმი, **ნუგზარ მილორავა** — მებრძოლი, **ასკალო მანაგაძე** — მშვიდობიანი მოქალაქე (ქუთაისი), **გელა თურმანიძე** — მებრძოლი (საჩხერე), **ალექსანდრე ზაალიშვილი** — მებრძოლი, **მუხრან მაჭარაშვილი** — მებრძოლი (საჩხერე), **გიორგი ზარქუა** — მშვიდობიანი მოქალაქე (ფოთი).

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხების შემსწავლელი საკოორდინაციო მექანიზმი შეიქმნა, რომლის მუშაობაშიც დევნილთა და განსახლების სამინისტროა ჩართული. საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, 11 ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართა.

მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, 2013 წლიდან მთლიანობაში 148 ადამიანია იდენტიფიცირებული, 109 ქართული მხარის, 39 კი აფხაზური მხარის მებრძოლი.

„177 ადამიანი ექსჰუმირებულია და მათი იდენტიფიცირების პროცესი მიმდინარეობს. 2400-ზე მეტი ადამიანია დაკარგული მთლიანობაში ორივე მხრიდან. ეს პროცესი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მართლაც დაუღალავი მუშაობა და რომ არა აფხაზური მხარის ძალიან კონსტრუქციული მიდგომა, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, ორივე მხარე ამოვდივართ ერთი მიზნიდან — აქ პოლიტიკას ვდებთ განზე და ვამბობთ, რომ ოჯახებს სჭირდებათ თავიანთი შვილების, თავიანთი მშობლების საფლავზე მისვლა, იცოდნენ, ეს ადამიანები სად არიან დამარხული“, - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მაკა ზურაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ნაზი გოგაშვილს - მეუღლის და შვილებს: მაია და სოსო გოგაშვილებს მამის
კლიმენტი გოგაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეზობლები: მიშა, ზურიკო, ზაზა თეთვაძეები, მერი ბენაშვილი, ბონდო ტარყაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, ნოდარ ლამაზოშვილი, სოსო ჯანაშვილი, ნოდარ ხატიაშვილი, ვეფხო ლეკაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ჯულეტა, ლია და რამაზ შანშიაშვილებს მეუღლისა და მამის
ვიტალი შანშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ძმა თემური, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან
თამილა პოპიაშვილის
გარდაცვალება.
დაიკრძალა 22 აპრილს, ქ. დედოფლისწყაროში.

# ...თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი

ამ დღეებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორს ნინო სიფრაშვილს „დედაენის დღე“ და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის დღე ერთად ჰქონდა შერწყმული. იმ საღამოს მოსწავლეებისთვის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი კულტურულ-საგანმანათლებლო კერად კიდევ ერთხელ წარმოგვიდგა. შეუძლებელია, არ დაინახო აქ მიმდინარე ღონისძიებები ბოლო წლების განმავლობაში და ამისთვის მადლობა არ უთხრა თითოეულ პედაგოგს.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახნა ნინო სიფრაშვილმა: „-ორიოდე დღის წინ ვიზეიმეთ მთელმა ერმა „დედაენის დღე“ კიდევ ერთხელ და ჩვენი ღონისძიებაც მას ეძღვნება, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“კითხვის დღეც დავუმატეთ. რატომ მაინცდამაინც „ვეფხისტყაოსანი“? შეიძლება დაგებადოთ კითხვა, მაგრამ გიპასუხებთ, იმიტომ , რომ 2017 წელი იუნესკომ „ვეფხისტყაოსნის“ წლად გამოაცხადა, ქართველი ერის კულტურული საგანძური ქართული სულის მარადიული სარკეა, საუნჯე და სიამაყეა. გვინდა, ჩვენმა პატარებმა, ვინც ჯერ არ იციან შეგნებულად ლექსის და პოეზიის არსი, შეიყვარონ წიგნები და კითხვა, რათა შეიგრძნონ უკეთესად პროზაც, პოეზიაც და ხელოვნებაც. ამიტომ, საფუძველს ვუყრით კიდევ ერთ კარგ იდეას, რუბრიკით:“ჩემი საყვარელი პოეტი და მისი შემოქმედება“. ეს იდეა გვინდა „ვეფხისტყაოსნით“ დავიწყოთ.“

ღონისძიებაზე სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ლექსის მხატვრულად კითხვასა და სიმღერაში, ცეკვასა თუ ანდაზების თქმაში, მაგრამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე მეხუთეკლასელი გიორგი გონაშვილის მიერ ზეპირად წაკითხულმა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებმა. გასაოცარია, მაგრამ, გიორგიმ უკვე 120 სტროფი იცის ზეპირად. ბევრი ისაუბრეს ბავშვებმა“დედაენაზე“, როგორც ცოდნის ლამპარზე და თავად მის შემქმნელსა და ავტორზე გაიხსენეს და მოგვიყვნენ უამრავი რამ . მერე რა, თუ მანამდე ჩვენც ბევრი გვსმენია და წაგვიკითხავს, მათი ნაამბობიდან მოსმენა მაინც სულ სხვაა, სხვა სიმტკიცით და სიყვარულით გადმოგვცემენ ჩვენი პატარები, რომ:“თურმე ადრე ღმერთები ქმნიდნენ ცაში ანბანს და ღვთიურ ნობათს გადასცემდნენ ადამიანებს.მაგრამ იმძლავრა ადამიანის გენიამ და ისეთი ანბანი შექმნა დედამიწაზე, თვით ცაში გაოცდნენ დამწერლობის ღმერთები. თუ ვინმემ მოინდომა მიწაზე ამ ღვთიური ასოების წაშლა, ცაში გადარჩება ვარსკვლავებით ნაწერი მათი ქარგა და სახელი, იმიტომ რომ, ქართულ სიმღერასთან ერთად კოსმოსში ქართული ანბანიცაა გაგზავნილი.“ -გვიამბობს თებრონია და ჩვენი დიდი წინაპრის, იოანე ზოსიმეს სიტყვებს დაამატებს:“და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, ქართული ენა ღვთაებრივი,უფლისმიერი, ყველა ჩინებულ ენათა შორის რჩეული და ზეალმატებული ენაა“.



ძალიან საინტერესო, ინტელექტუალურად სავსე ღონისძიება მდიდარი სულიერი საზრდოს მიმცემი იყო თითოეული მონაწილე ბავშვისთვის, რადგან , შეუძლებელია, ერთ ღონისძიებაში ამდენი რამ, თუნდაც, მოისმინო და შთაბეჭდილების გარეშე დარჩე, ახალი ცოდნის მიღების გარეშე დარჩე და არ ისწავლო, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან- ენა, მამული, სარწმუნოება, თუ ამასაც ვერ მოვუარეთ, ვერ ვუპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით?“

ღონისძიების დასასრულს გაიმართა კონკურსი“იღბლიანი მოთამაშე“- „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების გამოცნობაში. მასში მონაწილეობდნენ ზემოთ ნახსენები გიორგი გონაშვილი, ნიკოლოზ გიგოლაშვილი და მარიამ ჯეთერიშვილი. სამივე მოსწავლემ თანაბარი ცოდნა გამოავლინა აფორიზმების ცოდნაში. ბოლოს კი ყველა მონაწილემ თავისი ავტოგრაფი და საყვარელი აფორიზმი დატოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამახსოვრო ალბომში.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

# დედოფლისწყაროში რძის პროდუქტების საწარმო ჰიგიენური ნორმების დარღვევისთვის დახურეს

სურსათის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში კვების ობიექტებისა და საწარმოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებას განაგრძობს. სააგენტოს ინსპექტორებმა დედოფლისწყაროში რძის საწარმოებიც შეამოწმეს.

სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანია შპს „ნობეკოს“ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო საწარმოო პროცესი შეუჩერეს. შპს „ნობეკო“ დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში 2013 წლის იანვრიდან დარეგისტრირდა. საწარმო რძის პროდუქციას, მათ შორის ყველს აწარმოებს, რომლის დისტრიბუციას თავადვე ახდენს.

„კახეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს კვების ობიექტების, ასევე რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლების და რეალიზატორების შემოწმება. სააგენტოს ინსპექტორებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანია შპს „ნობეკოს“ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო საწარმოო პროცესი შეუჩერეს“, - განაცხადეს სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში შემოწმებული საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან ხუთში დააფიქსირა კრიტიკული შეუსაბამობები – არასათანადო რეცხვა-დეზინფიცირება, გამწოვი სისტემების და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, რის გამოც ბიზნესოპერატორებს საწარმოო პროცესი შეუჩერდათ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, უწყების მითითებების და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, ობიექტებს „ფიროსმანი“, „მარანი“ და „ძველი სიღნაღი“ უკვე აღუდგათ საწარმოო პროცესი, ისინი კვლავაც შეძლებენ მუშაობის გაგრძელებას. ხოლო „ბურჯს“ და „ტერასა სიღნაღს“ დღეისათვის კვლავ შეჩერებული აქვთ. მათ ინფრასტრუქტურის განახლება და სანიტარული ნორმების გაუმჯობესება დაევალათ.

ილია მარტყოფლიშვილი

## კროსვორდი



**შვეულად** 1. ზღვის ცხოველი, რომელიც თავდაცვის მიზნით მელნის სითხეს აფრქვევს 2. ფრანგი მწერალი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მოზღვავებული ემოციების გამო გულის წასვლის სინდრომი 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც მოღვაწეობდა ანტონიო გაუდი 4. ს. სპილბერგის ფილმი “შინდლერის ...” 6. საყოფაცხოვრებო ნივთი, რომლის დასამზადებლად იყენებენ ფოსფორის მარილებს 7. მიმდინარეობა მხატვრობაში, რომლის სახელწოდებაც ნიშნავს “ხის სათამაშო ცხენს” 11. ქალაქი ნილოსის დელტაში, რომლის სახელიც “გამარჯვებულს” ნიშნავს 12. მტკვრის მარცხენა შენაკადი 15. რაიონი რაჭაში 18. გეომეტრიის “მამა” 19. მაგმური წარმოშობის ქანი. გამოიყენება მშენებლობაში 20. სივრცე, რომელიც აითვლება დედამიწის ზედაპირიდან 122 კმ-ის ზევით 22. ოჯახის პატივსაცემი დედა ძველ რომში 25. ბამბუკის დათვი 27. როკ-ენ-როლის მეფე ... აარონ პრესლი 28. რას წარმოადგენდა გეოგრაფიულად ბიკინი, რომელიც წყალბადის ბომბების აფეთქების გამოცდას შეეწირა

**თარაზულად** 5. ყვავილი, რომელიც ძველ რომში საიდუმლოს შენახვის სიმბოლო იყო 8. კონტინენტი, რომელსაც 1814 წლამდე ევროპელები “ახალ ჰოლანდიას” უწოდებდნენ 9. პოლიტიკური იზოლაციის გამო ამბობდნენ, რომ სტალინმა საზღვრებზე “რკინის ...” ჩამოუშვა 10. მითური არსება, რომლის გამოცანა (დილით დადის ოთხ ფეხზე, შუადღეს - ორ ფეხზე, საღამოს კი სამ ფეხზე) მხოლოდ ოიდიპოს მეფემ გამოიცნო 12. მიმდინარეობა ამერიკულ საესტრადო სიმღერაში 13. ბუნებრივი მინერალური საღებავი ყვითელი ან წითელი ფერისა, ჟანგმიწა 14. ყველაზე დიდი ზომის ცხოველი ირმების ოჯახიდან 16. ფრანკო ძეფირელის “რომეო და ჯულიეტა”: უაიტინგი და ოლივია ხასი 17. მსახიობი ფრანსუაზა იუდიტ სორია დრეიფუსი. რა უწოდეს ფრანგებმა მას სიყვარულით 20. ჰო, დიახ 21. წმინდანი კაპადოკიის ქალაქ კოლასედან 23. აკვალანგის გამომგონებელი ჟაკ-... კუსტო 24. ხის ნაყოფი, რომლისაგანაც პირველი და უძველესი პური ცხვებოდა 25. დუვრის სრუტე, იგივე ...-დე-კალე 26. ინგლისი - სერ, იაპონია - სან, პოლონეთი ... 29. შატ-...-არაბი, მდინარე, რომელიც წარმოიქმნა ტიგროსისა და ევფრატის შეერთებით 30. ძველ რომში მონა, რომელსაც უნდა წარმოეთქვა სუფრაზე შემოსული კერძების დასახელებები 31. მსახიობი ... ჰარისი 32. ზღვაოსანი, რომლის სახელიც უწოდეს კუნძულს ავსტრალიასთან 33. ქალაქი სომხეთში, რომელიც 1988 წლის 7 დეკემბერს მიწისძვრამ დაანგრია

**ვაკანსია**

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციაზე. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
**რუსთაველის ქუჩა №53,**
ან დაგვიკავშირდით ნომერზე:
☎577-34-55-39

**ყურადღება,სიახლეა!!!**

დედოფლისწყაროს საბანკეტო დარბაზთან გაიხსნა სარიტუალო დამკრძალავი ბიურო, რომელიც მოგემსახურებათ კატაფალკით, სასახლე-მაცივრით და სასახლეებით. შეღავათიანი პირობები გავრცელდება მათზე, ვინც ჩვენი სარიტუალო ბიუროთი და საბანკეტო დარბაზით ისარგებლებს.
**მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, ანზორ სეფიაშვილი,
**ტელ: 599 73 15 95;**

**ვაკანსია!**

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, ხოლო სასტუმრო – **ადმინისტრატორისა** (სასურველია რუსული და ინგლისური ენების მინიმალური ცოდნა) და **მზარეულის** პოზიციაზე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:
☎ 599 08 01 28

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 30.04 | | სამშაბათი 01.05 | | ოთხშაბათი 02.05 | | ხუთშაბათი 03.05 | | პარასკევი 04.05 | | შაბათი 05.05 | | კვირა 06.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 13 ° | 11 ° | 15 ° | 14 ° | 17 ° | 15 ° | 19 ° | 17 ° | 21 ° | 18 ° | 20 ° | 18 ° | 20 ° | 17 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.